მოსწავლის
ბიბლიოთეკა

ზაირა არსენიშვილი

მოკლე კატოს თავგადასავალი

თათია ნადარეიშვილის ილუსტრაციებით

სულაკაურის
გამომცემლობა

ზაირა არსენიშვილი
მოკლე კატოს თავგადასავალი

ილუსტრატორი **თათია ნადარეიშვილი**
რედაქტორი **ნინო ილაშვილი**
სერიის დიზაინერები: **ია გაბუნია, ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **ლადო ლომსაძე**

ტექსტი © ზურაბ არსენიშვილი
© ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2022
ყველა უფლება დაცულია.

შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელეფონი: 291 09 54; 291 11 65
ელფოსტა info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-836-9

Zaira Arsenishvili
THE ADVENTURES OF TINY KATO

Text: Zurab Arsenishvili
Illustrations by Tatia Nadareishvili

Published by Sulakauri Publishing, Tbilisi, Georgia, 2022
All rights reserved.

www.sulakauri.ge

შინაარსი

კატო უნაყინოდ რჩება 8

კატოს ცეროდენები ეწვივნენ 12

ზღაპრული წალკოტის ამბავი 20

კატო ცეროდენებს დასტირის და უკვდავების წყლის
საძებრად მიდის 31

კატოს წალკოტი აოხრებული ხვდება 34

ბერი ქედანი და ყვავი ობოლა 37

მოკლე კატო მზეთუნახავ კისკისასთან 43

მოკლე კატო წყლისნაყვის ქვეყანაში 47

წყლის მნაყველთა მეფე მოკლე კატოს
დილეგში უკრავს თავს 53

დილეგის თაგვების მღელვარება 59

კატა შავრა 63

კატა შავრა თაგუნა თიკოს სიყვარულს ეფიცება 66

მოკლე კატო თაგუნა თიკოს მაყრად მისდევს 73

მოკლე კატო გვერდს აუვლის რაკარუკის ქვეყანას 83

მოკლე კატო ოქროქსოვილით მოსილ დედაბერთან.....86

ოქროს ვერძი.....96

მოკლე კატოს ცათაფრენა.....102

მოკლე კატო ღმერთთან.....107

ღმერთმა მოკლე კატო გზაზე დააყენა.....124

მოკლე კატო და ცეროდენები წალკოტს და
უფლისწულს სიცოცხლეს უბრუნებენ.....128

მოკლე კატოს დედა მოენატრა.....134

ჩემო კარგო ბავშვებო, რასაც ახლა მე თქვენ გიამბობთ, თავს გადახდა მოკლე კატოს, იმ პატარა გოგონას, ამქვეყნად ყველაზე მეტად ნაყინი და ზღაპრები რომ უყვარს. თქვენ, ალბათ, გაგეცინებათ, რომელ ბავშვს არ უყვარს ნაყინი და ზღაპრებიო?! კარგი, მაშინ სხვანაირად განიშნებთ, იმ მოკლე კატოს, ყველას ბედნიერად რომ მიაჩნია და ერთხმად გაიძახის: ოჰ, ეს მოკლე კატო რა ბედნიერი ბავშვია – დედაც ჰყავს, მამაც ჰყავს, ბებიებიც, პაპებიც, მეგობრებიც და ტოლ-სწორებიც; არც სმა აკლია, არც ჭამა, არც ჩაცმა და არც დახურვა; არც გავლა და არც გამოვლა... მეტი რაღა შეიძლება უნდოდესო? ქვაცა აქვს და კაკალიცო!

მოკლე კატო თუ ასეთებს ყურს მოჰკრავს, მაშინვე გულმხურვალედ შესძახებს:

– რა შეიძლება მინდოდეს და ამდენი „არ შეიძლება“ არ მესმოდეს! ასე ყველაფერს არ მიკრძალავდნენ! ჩემი ყოველი ნაბიჯი უფროსების ნება-სურვილზე არ იყოს დამოკიდებული! ვერ გავნძრეულვარ და ეგ არის! ჩემს ნებაზე ვერც ნაყინი მიჭამია, ვერც ლიმონათით გავჭყეპილვარ, ვერც მირბენია და ვერც მიკოტრიალია! უფროსებს ყველაფერი უზომოდ ეჩვენებათ და ნეტავი გამაგებინა, ეს ზომა ვიღამ დააწესა? სულ რომ იმას ჩამჩიჩინებენ, უზომო არაფერი შეიძლებაო?! სული შემიხუთა ამდენმა „არ შეიძლებამ!“ განა გასამტყუნარი ვარ, თუ ყოველთვის ის მინდა გავაკეთო, რაც არ შეიძლება?!

თქვენ იქნებ მოკლე კატო არც გაამტყუნოთ, მაგრამ იმას კი მაშინვე მიხვდებით, ყველაფერი შესაძლებელი და ნებადართული რომ ყოფილიყო, ვინ იცის, იქნებ არც ეს ზღაპრული ამბები დატრიალებულიყო...

ერთი დიდი პარკია, თქვენ ყველამ კარგად იცით ის პარკი – ბევრი გირბენიათ, ალბათ, ჭადრებით დაბურულ ხეივნებში და მოჩუხჩუხე შადრევნებთან. პარკის ერთ მხარეს თეთრი, ლამაზი, დიდშუშაბანდებიანი საბავშვო ბაღია – მოკლე კატოს საბავშვო ბაღი. პარკის მეორე მხარეს დიდფანჯრებიანი მაღალი სახლია, დღისით მზიანი და ღამით მთვარიანი – მოკლე კატოს სახლი.

ყოველ დილა კიბის მოაჯირზე შესკუპდება ჩვენი მოკლე კატო, ხუთ სართულს სრიალ-სრიალით ჩამოათავებს, პარკის კიბეებსაც ცქვიტად ჩაირბენს, მოშრიალე ხეივნებს კუნტრუშით გადაივლის და საბავშვო ბაღში ამოყოფს თავს, და მისვლისთანავე სულმოუთქმელად შეეკითხება ქეთინო მასწავლებელს:

– დღეს ზღაპარს ხომ გვიამბობთ? დღეს ხომ გვექნება ნაყინი?

ქეთინო მასწავლებელი – ახალგაზრდა, კოხტა, ცქრიალა ქალი – ღიმილით დაუქნევს თავს და მერე დაუზარებლად უკითხავს და უამბობს ბავშვებს ნაირ-ნაირ ზღაპრებს...

კატო უნაყინოდ რჩება

მაინც კი ყველაფერი ნაყინით დაიწყო... იმ დღისით მოკლე კატო ძალზე გახარებული დაბრუნდა საბავშვო ბაღიდან – როგორც ყველა სხვა საბავშვო ბაღში, აქაც ხშირად მართავდნენ ხოლმე ზეიმებს; ჰოდა, იმ დღესაც ქეთინო მასწავლებელმა ბავშვებს გამოუცხადა: რამდენიმე დღის შემდეგ საზეიმო დილა უნდა გავმართოთო, ვიმღეროთ, ვიცეკვოთ და ლექსები ვთქვათო.

მოვიდა კატო სახლში და სიხარულზე სიხარული დაემატა! კრემისფერი, სურნელოვანი ფაფით სავსე ბადიას[1] დედა საყინულეში გასაყინად დგამდა...

– ნაყინიი! ნაყინიიი! – შესძახა აღფრთოვანებულმა მოკლე კატომ, – გეხვეწები, დედიკო, გემუდარები, დღეს მაინც ძალიან ბევრი ნაყინი მაჭამე, რაა!

მოკლე კატომ ბადიაში თითი ჩაკრა და პირში გამოისვა.

– ნუ ხარ სულსწრაფი! დააცადე გაიყინოს და ისე... – უთხრა დედამ და მაცივრის კარი მიკეტა. ვერ მოითმინა კატომ, გააღო და შეიხედა, იქნებ უკვე გაიყინაო.

– გაანებე თავი! – დაუტია დედამ, – ჩადი ეზოში, ითამაშე და ამასობაში კიდეც გაიყინება.

ყოველგვარი განცდები და განსაკუთრებით კი სიხა-

[1] ბადია – ფიალის მსგავსი, ფეხიანი ჯამი

რული ისედაც დაუდგრომელ კატოს ენერგიას უასკეცებ-
და, მოძრაობისა და ხტომა-სირბილის განსაკუთრებულ
გუნებაზე აყენებდა. ამიტომაც ველოსიპედს დასტაცა
ხელი და ეზოში ჩავიდა, ნაყინის მოლოდინში თრუალით[1]
გულს მოვიოხებო... მაგრამ საქმეში ხართ? რის მოოხე-
ბა, რა მოოხება, მხოლოდ ჩვიდმეტჯერ შემოუარა გარს
სტადიონივით ფართო ეზოს და კიდეც დაუძახეს შუ-
შაბანდიდან: გეყოფა, ამოდიო. კატომ მამას კი ასძახა,
ახლავეო, და მოსაჩვენებლად სვლაც შეანელა, მაგრამ
მამამ მიხურა თუ არა შუშაბანდის ფანჯარა, ჩვეული
სისწრაფით გააქროლა ველოსიპედი და დიდ ეზოს კიდევ
სამჯერ შემოუარა...

– კატოო, კატოო! – გაისმა კვლავ მამის გაბრაზებული
ხმა, – არ შეიძლება ამდენი თრუალი! ჩქარა, ახლავე ამოდი!

მოკლე კატოს ყურში გაეჩხირა „არ შეიძლება“, უფრო
გამალებით აამოძრავა პედლები და სანამ მამა ეზოში
ჩამოვიდოდა, ერთი წრეც დაარტყა. მაგრამ, აბა, რა არის
ოცდაერთი წრე? იქნებ ვინმესთვის ეს ბევრიც იყოს, კა-
ტოსთვის კი, ჩვენი მოკლე კატოსთვის, ხელ-ფეხიდან ნა-
პერწკლები რომ სცვიოდა და ძილის დროსაც კი ლოგინში
შუკოსავით[2] ტრიალებდა, ოცდაერთი წრე ბევრი სრულე-
ბითაც არ იყო. ამიტომაც, როცა გაბრაზებული მამა ეზოში
ჩამოვიდა, კატოს საჭეზე ხელი უტაცა, ველოსიპედიდან
გადმოასკუპა და სახლისკენ წაიყვანა, მოკლე კატომ ისეთი
ღრიალი მორთო, რომ იმისი ხმა ცასა სწვდებოდა.

– აი, როგორ გახვითქულხარ! – დაუყვირა მამამ, – არ
შეიძლება, გაიგე, არ შეიძლება!

---

[1] თრუალი იგივე ტრუალი, ბრუნვა, ბორბლების ტრიალი

[2] შუკო – მაგარი ხისგან გამოთლილი ბზრიალა

ისევ ეს „არ შეიძლება“ კატოს ისარივით ეცა გულზე, ტირილს უმატა და აღშფოთებით შესძახა:

– რატომ არ შეიძლება? რატომ?! რატომ?! რატომ?!

– მორჩი ჭიჭყინს და ერთხელ და სამუდამოდ შეუშვი მაგ ყურებში, რომ უზომო არაფერი არ შეიძლება! – მამას ცალ ხელში ველოსიპედი ეჭირა, მეორე კი ატირებული კატოსთვის ქეჩოში ჩაევლო და ისე მიჰყავდა. კატო არასოდეს არ თმობდა ადვილად თავის პოზიციებს, ამიტომაც სლუკუნით წამოიძახა:

– მერედა ვინ დააწესა ეს ზომა? განა შეიძლება ყველასთვის ერთი და იგივე ზომა არსებობდეს?

– ხმა! ხმა! – მოუთმენლად შესძახა მამამ, – არ შეიძლება ამდენი ჭიჭყინი და ტირილი! თორემ იცოდე, ნაყინსაც ვერ მიიღებ!

აბა, ნაყინიო? მოკლე კატომ მამას ხელი გააშვებინა, ფრენა-ფრენით აირბინა კიბეები, სამზარეულოში შეიჭრა და მაცივარი გამოაღო! გასაგიჟებელი სურნელი ეცა, კრემისფრად შემოსცინა ხოროშ-ხოროშად გაყინულმა დიდებულმა ნაყინმა!

– ვაიმე, ეს როგორ გაოფლილხარ! – დაიძახა დედამ, – არა, გენაცვალე, არა, გაოფლილზე ნაყინი არ შეიძლება! – ბადია გამოართვა და უკანვე შედგა.

გამწარებულმა კატომ იფიქრა, ასე სიცოცხლეც არ ღირსო და ისეთი ტირილი გაახურა, ცხვირ-პირზე ღვიარება ჩამოსდიოდა, თავისი მშვენიერი ზურმუხტივით თვალებიც დაისია და წაბლისფერთმიანი კოხტა თავიც აიტკია. ეს კიდევ რა! დედას რატომღაც ეჭვი შეეპარა, სიცხე ხომ არა აქვსო, გაუზომეს და მართლა ჰქონდა მაღალი სიცხე. საწყალ კატოს სასწრაფოდ გახადეს, დაბანეს, სანეტარო